ხელშეკრულება № 9
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. თბილისი 13 ნოემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (შემდგომში-შემსყიდველი), მისი დირექტორი თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში-მიმწოდებელი) სს"თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა", მისი დირექტორი უშანგი ბექურაიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01 12 08 03-ის ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. 2013 წლის ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, ბიუჯეტის სახსრებით სასკოლო ინვენტარის შესყიდვისათვის თანხების გამოყოფის შესახებ.შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტი: სასკოლო დაფა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით ლარებში. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი: სასკოლო დაფა 2ცX149.86=299.72ლ.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 299.72(ორასოთხმოცდაცხრამეტი ლარი 72თეთრი).

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელ შეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესრულების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შემსრულებლის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 13 ნოემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. შემსრულებლის მიწოდების ადგილია: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, დავით აღმაშენებლის გამზირი № 103.

4.3. შემსრულებლის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველ ყოს ხედდებულის დავალებით.

5. შესყიდვის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ავანსად ეროვნული ვალუტით ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუშეტეს 2013 წლის 13 ნოემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მომწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მომწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 2013 წლის 13 ნოემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშერულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 13 ნოემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებანი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია დამკვეთი ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი თამაზ ანდღულაძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შეწუნდების მიზე-

ზების მითითებით გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექ-ტირებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოსკანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია: ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ააიპ "ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე"	სს"თბ. სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა"
ს/კ 202056069	ს/კოდი 202052189
მის: დ. აღმაშენებელის №103	მის: სპ. კედიას ქ. 15
სს „ლიბერთი ბანკი"-ს დიდუბის ფილიალი	სს "ქართუ ბანკი"
ჩულურეთი №2 ს/ც	
ა/ა **GE41LB0115174053177000**	ბ/კ **CRTUGE22**
ბ/კ LBRTGE22	ა/ა **GE24CR0001004671443606**
ტელ: 95 94 73	ტელ: 234 09 12
დირექტორი:	დირექტორი:
თამაზ ანდღულაძე	უშანგი ბექურაიძე

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს

ა ქ ტ ი №9

27 ნოემბერი

“_____’----------2013წ.

თბილისი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (შემდგომში–შემსყიდველი), მისი დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში - შემსრულებელი), სს „თბილისის სასკოლო ინვენტ-ტარის ფაბრიკა”, მისი დირექტორის უშანგი ბექურაიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01120803–ის ფარგლებში დადებული 2013 წლის №9 ხელშეკრულების საფუძველზე ვად-გენთ მიღება - ჩაბარების აქტს შემდეგზე: სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა”-სგან შევიძინეთ ორი ცალი სასკოლო დაფა 299.72 ლარის ოდენობით.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

შემსყიდველი	შემსრულებელი
---	---
ქართული ფოლკლორის	სს „ თბილისის სასკოლო
მოსწავლეთა სასახლე	ინვენტარის ფაბრიკა”
დირექტორი:	დირექტორი:
თამაზ ანდღულაძე	უშანგი ბექურაიძე